

სიტყვაწარმოებითი აზიმაბის ფუნქციები და  
შესამებადობა სახალურ ფუძეთა სემანტიკური  
ჯგუფების მიხედვით

ახალ ლექსიკურ ერთეულთა წარმოსაქმნელად ენას მრავალი სა-  
შუალება მოეპოვება. მათგან ყველზე მნიშვნელოვანია აფიქსური  
სიტყვაწარმოება.

ცნობილია, რომ ქართულში სიტყვათა საწარმოებლად გამოიყე-  
ნება: პრეფიქსები (იშვითად), სუფიქსები და პრეფიქს-სუფიქსები  
(კონფიქსები).

სახელთა წარმოქმნის საშუალებათა განხილვა ორგვარად არის  
შესაძლებელი:

ა) სიტყვაწარმოებითი კლასების (პრეფიქსების, სუფიქსებისა და  
კონფიქსების) მიხედვით, რაც გულისხმობს მათი ფუნქციებისა და  
ფუძებთან შეხამებადობის შესწავლას, და

ბ) სემანტიკური ჯგუფების მიხედვით.

ჩვენი არჩევანი ამ უკანასკნელზე შეჩერდა იმიტომ, რომ სემან-  
ტიკურ ჯგუფებში შემავალი აფიქსები უმთავრესად ერთგვარი ფუნ-  
ქციისაა და მათი საერთო დახასიათება უფრო მოსახერხებელია. ეს  
გააადვილებს იდენტური ფუნქციის მქონე აფიქსების ერთსა და  
იმეფე ფუძეზე დართვით მიღებულ ფორმათა (მაგ.: ხელ-იან-ი, ხელ-  
ოვან-ი, ხელ-ოსან-ი...) სემანტიკურ დახასიათებასაც.

რა თქმა უნდა, ნაკლი ამ კლასიფიკაციასაც აქვს, რადგან ზოგი-  
ერთი აფიქსი რამდენიმე ფუნქციის მქონეა. მაგ.: -იერ, -იან, -ეულ,  
-ურ, -ობა... ნათესაობითი ბრუნვის ფორმაზე დართული -ეულ სუ-  
ფიქსი წარმომავლობას აღნიშნავს, ხოლო მარტყე ფუძეზე დართვით  
კრებითობასა და მქონებლობაზე მიუთითებს. ეს მეორეული მნიშვნე-  
ლობები კი შესაბამის სემანტიკურ ჯგუფში განხილვას მოითხოვს. ამ  
უხერხულობის გათვალისწინებით ანბანის რიგზე ვუჩვენებთ თითო-  
ეული აფიქსის ყველა ფუნქციას შესაბამისი საილუსტრაციო მასა-  
ლითურთ. იმის გამო, რომ, ტრადიციული სემანტიკური კლასიფი-  
კაციისაგან განსხვავებით, ახალ სემანტიკურ ჯგუფთა გამოყოფა ვახდა

შესაძლებელი, ხოლო ზოგიერთ ჯგუფს რამდენიმე მაწარმოებელი დამატა, ნაშრომში ცალკეა წარმოდგენილი რამდენადმე ახლებური კლასიფიკაცია სემანტიკური ჯგუფების მიხედვით.

## 1. მონხის აახლოთა წარმოება

### -ბ, -იან, -ოვან, -ოსან, -იერ, -ელ

ა ხმოვანზე დაბოლოებული სახელები ქართულში საკმაო რაოდენობით მოგვეპოვება, მაგრამ ეს ა ყოველთვის სუფიქსად, რა თქმა უნდა, არ მიიჩნევა. ცხადია, წარმოქმნილ სახელთა ჯგუფში ვერ მოექცევა უცხო წარმომავლობის ა-ფუძიანი სახელები (შამპარა, იორლა, ბოხჩა, განჯინა...), აგრეთვე, ქართული სახელები, რომლებსაც ა დაბოლოების უქონელი საპირისპირო ფორმები არ გააჩნია (თელა, კენკრა...) და ამიტომ ამ რიგის სახელებში შეუძლებელია ა-ს გამოყოფა.

ქვემოთ განვიხილავთ მხოლოდ ისეთ ა-დაბოლოებიან სახელებს, რომლებსაც აქვთ საპირისპირო ფორმები ა სუფიქსის გარეშე.

ცნობილია, რომ ა სუფიქსი შეიძლება აწარმოებდეს: ა) კნინობით სახელებს, ბ) ქონების სახელებს, გ) თვისების აღმნიშვნელ სახელებს, დ) მსგავსების აღმნიშვნელ სახელებს<sup>1</sup>.

1. კნინობითობის აღნიშვნის ფუნქცია ა სუფიქსისათვის, ახალი ქართულის მონაცემების მიხედვით, ნაკლებ დამახასიათებელია. ასეთი ა-ს შემცველი რამდენიმე მაგალითი თუ დამატებნება, და ისიც მეტწილად დიალექტურია: აზნაურ-ა (კნინ.-დამც. აზნაური, I)<sup>2</sup>, ბიქ-ა, კარდალ-ა, კაც-ა, მამალ-ა, ფიცარ-ა, ქალ-ა, ხატ-ა...

სამაგიეროდ, ხშირად გვხვდება კნინობითის ა აღმოჩენის საკუთარ სახელებში: ბეჟან-ა, დავით-ა, ვახტანგ-ა, სიმონ-ა...

მთიულურ-ნოხურში შესაძლებელია რიცხვითისა და ზედსართავი სახელის კნინობითი ფორმაც: სამ-ა-ნ-ი მანეთ-ა-ნ-ი, ორ-ა-ნ-ი ცხორ-ა-ნ-ი<sup>3</sup>.

1 ა სუფიქსის ფუნქციითა შესახებ იხ. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, 1973, გვ. 121, 122, 125; აღ. შანჭგალაძე, ხმოვანზე დასრულებული ზოგი სახელის ფუძის აგებულებისათვის: სბიქე, I, 1956, გვ. 171; ა. შანიძე, ა სუფიქსის სიტყვაწარმოებითი ფუნქციები: ქელს, 1974, № 1; რ. გაბეჩაია, ქართული სიტყვაწარმოება და მისი სწავლება სკოლაში, თბ., 1971, გვ. 3.

2 აქაც და ქვემოთაც რომელი ციფრებით აღნიშნული ვაქვს „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რედაქციის (1956—1964) წესდამისი ტომები.

3 აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 121.

2. -ა სუფიქსი ქონების (რისამე მქონებლობის) აღმნიშვნელი საზოგადო სახელებში: ა) მარტივი სახელები: ახალუბ-ა, ბერკეტ-ა, გვერდ-ა, კაუჭ-ა, უღვაშ-ა, წახნაყ-ა... ბ) რთული სახელები: ასფურცელ-ა, თხისწვერ-ა, ბოლობეჭედ-ა, თმაქოჩორ-ა...

ა ზოგჯერ ცოცხალი არსების სხეულის ნაწილთა აღმნიშვნელ სახელებს დაერთვის და მქონებლობის გაგებას ვეძღვეს, თუმცა აქ საგანი ჩვეულებრივზე მეტ სიდიდეს უჩვენებს: ტუჩ-ა (ვისაც სქელი ტუჩები აქვს, VI), ფაშ-ა (მუცელშიმონებელი, დიდმუცელა საქონელი, VII), ყურ-ა (ყურ-იანი, VII), ჩიჩვირ-ა (დიდტუჩა, დრუნჩა აღამიანი, VIII), ცხვირ-ა (დიდცხვირა, VIII), წარბ-ა (ხზირწარბებიანი, VIII).

3. -ასუფიქსიან სახელს ამა თუ იმ თვისების აღნიშვნაც შეუძლია. ეს ფუნქცია უმთავრესად მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებზე (ე. წ. პირველად მასდარებზე) დართვისას ვლინდება. ამ სემანტიკის სახელი სხვა რომელიმე სახელს ახასიათებს მოქმედების გარკვეული სახეობის მიხედვით: შრილა ხე, ფოთოლი... ზოზინა კაცი, ბავშირ...

ა) მარტივი სახელები: ბარბაც-ა (1. ვინც ან რაც ბარბაცებს, 2. ტექნ. ძრავის ნაწილი, შდრ. ბარბაცი — სიარული ადამიანისა, რომელიც წონასწორობას ვერ იცავს, ქველ I); ბაჯბაჯ-ა (ბაჯბაჯით მოსიარულე, I), ბლუყუნ-ა (ბლუყუნით მოლაპარაკე, I), გიზგიზ-ა (ძლიერი ცეცხლია ხმა, I), დუდღუნ-ა (ცხვირში მოლაპარაკე, II), ზოზინ-ა (ხელგვიანი, ზღაზინა, II);

ბ) რთული სახელები: კუდქივინ-ა, პირცმაყუნ-ა, ყურცქვიტინ-ა, სახეცქრიალ-ა... კომპოზიტის მეორე შემადგენელი ნაწილი მოქმედების აღმნიშვნელი სახელია, პირველი ნაწილი — სახელი კი აკონკრეტებს რაიმე თვისების ქონებას. მაგ., ცქრიალ-ი — ცქრიალ-ა — საერთოდ ახასიათებს პიროვნებას, მაგრამ სახეცქრიალ-ა ფორმით ხაზგასმულია სახის ის თვისება, რასაც -ასუფიქსიანი ფორმა აღნიშნავს.

ზემოვანაზლულ შემთხვევაში -ასუფიქსი მახედსართავებელია.

4. -ასუფიქსიან სახელს სხვა რომელიმე საგანთან მსგავსების აღნიშვნაც შეუძლია. მსგავსება შეიძლება იყოს ფერის, მოყვანილობის ან სხვა რაიმე ნიშნის მიხედვით: ქერ-ა (ქერის ფერი), შვინდ-ა (შვინდის ფერი)<sup>4</sup>.

ა) მარტივი სახელები: აბრეშუმ-ა (უფესვო და უფოთლო ერთწლოვანი მცენარე, I), ბაყაყ-ა (გადმოკარკულული თვალგბი, I), ბურთ-ა (ტიქნ. ბურთის მოყვანილობისა, ბურთისებური, I); ბუსუს-ა (ბუსუსის მსგავსი, ბუსუსივით, I), გვირგვინ-ა, თხილ-ა, ისარ-ა...

<sup>4</sup> აქ შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 126.

ბ) რთული სახელები: ვარდკანაფ-ა (კანაფის მსგავსი ბოჭკოვანი მცენარე, IV); მიწამაყვალ-ა (ბოტან. მყვალის მსგავსი ბალახოვანი მცენარე, V); ცელნამაღალ-ა (ნამგლის მოყვანილობისა, VIII); თითის-ტარ-ა (ანატ. ერთ-ერთი კუნთი თითისტარის მოყვანილობისა, IV); კრავიკულ-ა (ბოტან. მრავალწლოვანი ბალახი, IV); მილძაბრა-ა (სპეც-ძაბრისებური მილი, V)...

„ა სუფიქსიანი მსგავსების სახელი, მართალია, ჰგავს ამავე სუფიქსით ნაწარმოებ ქონების სახელს, მაგრამ მათი გამოიჯნა არ ჰქონს (შდრ. წითელპერანგა და თვალსაცერა)... თვალსაცერა ნიშნავს „სა-ცრისოდენა თვალბიანს, ვისაც საცეროვით დიდი, ფართო თვალები აქვს“. გვაქვს შედარება-მსგავსებაც და მქონეობაც, თუმცა ეს ამგვარი წყობისათვის (ამ კომპოზიციისათვის) არის დამახასიათებელი, ისე კი მართო შედარება გამოიხატება, თუ პირდაპირი წყობა იქნება: სა-ცერა თვალები = საცეროვით თვალები“<sup>5</sup>.

შრიალა, გიზვიზა, ბაყუა, ბურთა, ნაფოტა ტიპის სახელები მსაზღვრელი სახელის ფუნქციის მქონეა. თავდაპირველად ეს სახელები მსაზღვრელებად გვევლინებოდნენ: შრიალა ხე, ნაფოტა თევზი... ასეთ შემთხვევაში „შრიალა“, „ნაფოტა“ მსაზღვრელია, -ა მსგავსების აღმნიშვნელი სუფიქსია, ე. ი. ნიშნავს: ნაფოტის მსგავსი თევზი. შემდეგ როცა საზღვრულის გაგება მიწვდოდა, მიიჩქმალა, სინტაქსის ცალად დაბრუნებულმა წევრმა (მსაზღვრელმა) იკისრა დაკარგული სუბსტანტივის შინაარსის ვადმოცემაც. მსგავსების, ქონების გამომხატველი -ა-ს რეინტერპრეტაციის საფუძველზე, ამ -ა-ს მასუბსტანტივების ფუნქცია დაეკისრა.

5. -ა სუფიქსი წარმოქმნილ სახელთა მწარმოებლად.

-ა სუფიქსით შეიძლება წარმოქმნილი სახელი ბელმოორედ ვაწარმოოთ ახალი შინაარსით. ორმაგად ან სამმაგად ნაწარმოებ სახელში ჩანს წინამავალი აფიქსის ძირითადი ფუნქცია, -ა კი მასუბსტანტივებელია: -იან-ა: ბედ-იან-ა, ცვრ-იან-ა, ცრუფარ-იან-ა, მტვრ-იან-ა...; -ოვან-ა: წებ-ოვან-ა (ზორბლის ან ქერის მარცვლის შემადგენელი ცილოვანი ნივთიერება, VIII), შარდ-ოვან-ა (ქიმ. ცხოველის შარდის შემადგენელი ნივთიერება, VII), ცხიმ-ოვან-ა (მედიც. კეთილთვისებიანი კანქვეშა ცხიმოვანი სიმსივნე, V), სამხმ-ოვან-ა (ლინგვ. ტრიფთონგი, VI); -იერ-ა: მაქც-იერ-ა (ერთნაირი ჩიტი, რომელიც თავს იმკვდარუნებს, დაჭერას რომ გადარჩეს, VI); -ედ-ა: ჭაჭვ-ედ-ა, ქინჭორ-ედ-ა...; უ — ურ-ა: უ-ფენ-ურ-ა, უ-წვერ-უღ-ა; სა — ურ-ა: სა-ნთ-ურ-ა, სა-თბ-ურ-ა; -ეთ-ურ-ა: ჭავახ-ეთ-ურ-ა...

5 ივ. ქავთარაძე, შედარების გამომხატველი ძირითადი გრამატიკული საშუალებები; ისტ შრომები, სერია B, № 8—9, 1974, გვ. 168.

6. გავრცეველი შინაარსის -ა-მაწარმოებლიანი სახელები.

ამ ჯგუფში განვიხილავთ ისეთ სახელებს, რომელთა ძირეული და საპირისპირო -ა-მაწარმოებლიანი ფორმები სემანტიკურ განსხვავებას არ გვიჩვენებენ. ასეთი სახელების ისტორიული ანალიზი მოცემული აქვს ალ. მანჯგალაძეს<sup>6</sup>. ავტორის მიერ წარმოდგენილ სიას ეუმატებთ ამ ტიპის სხვა სახელებსაც: ბჟოლ-ა/-ი, ბურჩხ-ა/-ი, გოგროხ-ა/-ი, გუნდ-ა/-ი, კალთ-ა -ი, კვინჩხ-ა- -ი, ტოლ-ა -ი.

ამგვარად: 1. მარტივ სახელებში -ა სუფიქსი ოთხი ფუნქციით გვხვდება. იგი კონოზიტობის, ქონების, მსგავსებისა და თვისების აღმნიშვნელ სახელებს აწარმოებს. თვისების აღმნიშვნელ სახელებში -ა მასდიქტივებელია, ხოლო მსგავსების სახელებში — მასუბსტანტივებელი.

2. კონოზიტებზე დართული -ა სუფიქსი ქონებას, მსგავსებასა და თვისებას უჩვენებს.

3. ნაწარმოებ სახელებში -ა-ს მასუბსტანტივებლის ფუნქცია ყველსრება.

4. -ა-სუფიქსიანი კომპოზიტის გავრცელებას ხელი შეუწყობს მეცნიერების სხვადასხვა დარგში ტერმინოლოგიის შექმნის მოთხოვნილება. ასეთი ნაწარმოები მრავალი ტერმინი ქიმიკაში: ძმარმუავ-ა, ფოსფორმუავ-ა, ღვინისმუავ-ა...; ენტომოლოგიაში: ფარშევანგთვალ-ა, ფეხჯაგარ-ა...; ტექნიკურ ლიტერატურაში: მილძაბარ-ა, თავბურც-ა...; ანატომიაში: თითისტარ-ა...

-იან:

1. -იან სუფიქსი ახალ სალიტერატურო ქართულში ქონების სახელთა ყველაზე აქტიური მაწარმოებელია: ენამზ-იან-ი, სახლ-იან-ი, კუდ-იან-ი, ხელჯოხ-იან-ი...

-იან დაერთვის როგორც ქართული წარმოშობის სახელებს, ასევე უცხო ენებიდან ნასესხებ სიტყვებაც: არახჩინ-იან-ი (←თურქ. თხელი ქსოვილის საშინაო ქუდი, I), ზეგთარ-იან-ი (←სპარს. ჯაგშანი, I), დუიმ-იან-ი (←პოლ. სიგრიძის საზომი ერთეული, IV).

2. -იან//-ან სუფიქსი, როგორც წარმომავლობის აღმნიშვნელი, გვარის სახელად ძალიან გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართვე-

<sup>6</sup> ალ. მანჯგალაძე, -ა ხმოვანზე დასრულებული ზოგი სახელის აგებულებისათვის, გვ. 171—186.  
<sup>7</sup> ალ. შანაძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 122.

ლოში: თვედორ-ა-ან-ი, ომარ-ა-ანი<sup>8</sup>. ნარიანი მრავლობითის ფორმით კრებითობა აღინიშნება, თანიანით კი ინდივიდია დასახელებული.

გვარის სახელების ეს დაბოლოება თავდაპირველად ყველა ქართულური ტომისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი. „ქართ-ველურს“ პატრონიმისტიკულ მორფოლოგიაში იგი ყველაზე ადრინდელი მოვლენათაგანია“<sup>9</sup>.

-ი-ან მაწარმოებელნი -ან ელემენტს ცალკე გამოყოფს ს. ჯანაშია და მის თავდაპირველ ფუნქციად კრებითობას ასახელებს, რაც ნათლად დაატურდება ქართველური გვარის სახელების ანალიზით. ამ ფუნქციას ძველთაგანვე მჭიდროდ დაუკავშირდა წარმოშობის ხეყვებაც. -ან ფორმანტის მიერ გვარის სახელებისა და შტო-გვარის სახელთა წარმოება გავრცელებული იყო აღმოსავლეთ საქართველოში, დასავლეთ საქართველოში კი ძირითადად სვანეთსა და მის ახლომდებარე რაიონებში. მაგ., რაჭაში -ე-ენ ვარიანტიანი შტო-გვარის სახელებია გავრცელებული: „ლობჯანიძეების საგვარეულოში: ლაშხენი, ზვადენი...“<sup>10</sup>

3. იშვიათად -იან სუფიქსი მცენარეთა კრებულის აღმნიშვნელიცაა: თხილ-იან-ი, ნიგვზ-იან-ი, მურყნ-იან-ი, ლელ-იან-ი...

-ეან//იან მაწარმოებლით ძველ ქართულში იშვიათად ქონების სახელებიც იწარმოებოდა: აუგ-იან-ი, ბაყლ-იან-ი (ბაყლი — ძვ. თხრა-შლი, ჩირქი, I), ვერძ-იან-ი, გესლ-იან-ი...

-იან სუფიქსის ეს ფუნქცია შემდეგ უფრო განზოგადდა და ერთადერთი ვახდა. იგი დაერთვის ყოველგვარ სახელს: ქართულსაც და უცხო წარმომავლობისასაც, ერთ-, ორ- და მრავალმარცვლიანებს; სუფთა, მარტივ ფუძესაც და ნაწარმოებ სახელსაც. მისი ასეთი ფართო ასპარეზი იმის დაჰადასტურებელია, რომ ქონების სახელთა წარმოების ძირითადი მოდელი ახალ ქართულში -იან სუფიქსით იქმნება.

-ოვან:

-ოვან სუფიქსი ძველ ქართულში ქონების აღმნიშვნელ სახელთა ყველაზე აქტიური მაწარმოებელი იყო. „იგი ნაწილობრივ ფარავდა -იან/-იან სუფიქსის იშვიათ გამოყენებას: ბევრ შემთხვევაში, როცა

<sup>8</sup> -ან+-იან ფორმის დასუსტების შედეგად, რაც ფუძისეული ან ხნოვნის ზემოქმედებითაა გამოწვეული. ავ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 123.

<sup>9</sup> ს. ჯანაშია, თუბალ-თბალი, ტიბარენი, იბერი...: ენისმის მოაზრე, ტ. I, 1937, გვ. 211.

<sup>10</sup> იქვე.

დღეს -იან სუფიქსს ვიყენებთ, ძველად მას -ოვან ენაცვლებოდა: ტუნო-  
ვანი — ტვინიანი<sup>11</sup>.

ჩვენს მასალაში -ოვან-სუფიქსიან სახელთა სიჭარბის ძირითადი მიზეზი ძველი ლიტერატურული ძეგლებიდან მომდინარეობა უნდა იყოს, რადგანაც წესაბამისი მნიშვნელობის გადმოსაცემად დღევანდელ ქართულში -იან-სუფიქსიანი ფორმები იხმარება: **ბალახ-ოვანი** → **ბალახ-იანი**, **იმედ-ოვანი** → **იმედ-იანი**, **ღრუბლ-ოვანი** → **ღრუბლ-იანი**...

1. ა) ახალ სალიტერატურო ქართულ ენაში -ოვან სუფიქსის ძირითადი ფუნქცია ისევ ქონების სახელთა წარმოებაა: **ახაკ-ოვანი**, **ბოჭკ-ოვანი**, **მცირეწლ-ოვანი**, **ორაზრ-ოვანი**, **სურნელ-ოვანი**, **ლაყვარდ-ოვანი**...

ბ) ზოგჯერ -ოვან-სუფიქსიანი ფორმის, -იან-მაწარმოებლიანთან შეპირისპირებით, მეტი სიმრავლის გამოხატვა შეუძლია. თ. ყორღანია მიუთითებდა, რომ -ოვან სუფიქსით ნაწარმოები სახელი მრავლად ქონებას აღნიშნავს<sup>12</sup>. ასეთებია: **კლდ-ოვანი**, **გუმბათ-ოვანი**, **კუნთ-ოვანი**, **ლოდ-ოვანი**, **ნაპრალ-ოვანი**... ამავდ შინაარსის -იან-მაწარმოებლიანი სახელი კი -ებ-იანი მრავლობითის ფორმას მოითხოვს: **გუმბათ-ებ-იანი**, **ნაპრალ-ებ-იანი**...

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ძველი ქართული ენის მონაცემთა გათვალისწინებაც. „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ განმარტებულია: **ეკლ-ოვანი** — „ეკლებიანი“, **ნერგ-ოვანი** — „ტყე ხშირი“, **ნადოვანი** — „ნადევიანი ადგილი“... საგულისხმოა, რომ -ოვან-სუფიქსიან სახელს მცენარეთა კრებულის აღნიშვნაც შესძლებია: **ნიგუზ-ოვანი** — **ნიგუზ-ნარი**, **ოლ-ოვანი** — **ბუჩქ-ნარი**...

ირკვევა, რომ -იან და -ოვან-მაწარმოებლიან სახელთა შორის სემანტიკური გადახრები ძველ ქართულშივე აღინიშნებოდა. ამის საფუძველი კი ის იყო, რომ -ოვან-სუფიქსიანი ფორმა საგნის სიმრავლეზე მიუთითებდა.

ნარიანი მრავლობითის ფორმით ახალ ქართულშიც გადმოიკვამა მცენარეთა შემკრებლობითი სახელი: **თესლ-ოვანი**, **მარცვლ-ოვანი**, **ნარიჩხ-ოვანი**.

2. ა) -ოვან-მაწარმოებლიანი სახელი ზოგჯერ საგნის თვისება-მსგავსების აღმნიშვნელია. ორი იდენტური შინაარსის ფორმა ენამ სხვადასხვა ფუნქციით აღჭურვა: -იან-მაწარმოებლიანი სახელი ქონების მაჩვენებელია, -ოვან-სუფიქსიანი კი თვისება-მსგავსებას აღნიშნავს. შდრ.: **ხავერდ-იანი** (ხავერდის მქონე, VIII) და **ხავერდ-**

<sup>11</sup> იგ. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნვა და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957, გვ. 434.

<sup>12</sup> თ. ყორღანია, ქართული გრამატიკა, ტფ., 1869, გვ. 107.

ოვან-ი (ხავერდოვით რბილი, VIII); ხატ-იან-ი (ხატის მქონე, VIII) და ხატ-ოვან-ი (წიგნ. ხატების, სახეების შემცველი, VIII); ცეცხლ-იან-ი — ცეცხლ-ოვან-ი (თვალები, ცეცვა), კბილ-იან-ი და კბილ-ოვან-ი, ყინულ-იან-ი და ყინულ-ოვან-ი, მუხლ-იან-ი და მუხლ-ოვან-ი, ჰაერ-იან-ი და ჰაერ-ოვან-ი, ფერად-იან-ი და ფერად-ოვან-ი...

ბ) -ოვან-მაწარმოებლიანი სახელები უმთავრესად მწიგნობრული მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი: მაგ.:

ერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვაწრო, ვერცა კლდოვანი (გვ); განმარტოებულს ფრიალოს კლდეზე სდგას აღვის ხისა ნორჩი ახალი, მრავალ-შტოვანი, მაჯრილო-ზელი, ჰაეროვანი, ტურფა, მალალი (ს. ბარათ); ყვავილოვანი სოყმაწვილი... (გ. ტაბ).

3. სამეცნიერო ლიტერატურის ენამ კვლავ გაააქტიურა -ოვან სუფიქსი. იგი ცნებების აღმნიშვნელ ტერმინთა შესაქმნელად გამოიყენეს მეცნიერების სხვადასხვა დარგში. შედიცინაში: კუნთ-ოვან-ი, სოკ-ოვან-ი, ჩირქ-ოვან-ი, წყლულ-ოვან-ი, ხრტილ-ოვან-ი... ქიმიისში: ზეთ-ოვან-ი, ტუტ-ოვან-ი, ცილ-ოვან-ი... გეომეტრიაში: კუთხ-ოვან-ი, წახნაგ-ოვან-ი, ხაზ-ოვან-ი... ფილოლოგიაში: მრგვლ-ოვან-ი, თანხმ-ოვან-ი, ნაპარდ-ოვან-ი, ხმ-ოვან-ი, მარცვლ-ოვან-ი... -ოვან სუფიქსი საგნის თვისებასა და სიმრავლეზე მიუთითებს.

ზემოდასახელებული ფუძეები -იან მაწარმოებლით წარმოდგენილი მქონებლობის აღმნიშვნელია ყოველდღიურ სიტყვათხმარებაში: ცხიმ-იან-ი, ზეთ-იან-ი, სოკო-იან-ი...

-ოვან სუფიქსი ძირითადად ქართული წარმოშობის (ან ქართულში ძველთაგანვე შესისხლსორცებულ) ერთ- ან ორმარცვლიან ფუძეებს დაერთვის. იწვიათია რთულ ფუძეზე მისი დართვის შემთხვევები, რომელთაგან დიდი ნაწილი ტერმინებია: მრავალდაზგ-ოვან-ი, ნახშირ-წყლ-ოვან-ი... ერთეულ შემთხვევაში -ოვან მაწარმოებელი უცხო წარმომავლობის (გვიან შემოსულ) სახელებთანაც გვხვდება: კალიუმ-ოვან-ი, ვალენტ-ოვან-ი, ჰიგმენტ-ოვან-ი... ყველა ზემოდასახელებული ფორმა ტერმინოლოგიური საჭიროებისთვისაა შექმნილი.

-ოსან:

-ოსან „აღნიშნავს რისამე მატარებელს ან მქონებელს“...<sup>13</sup>

ამ სუფიქსის უძველესი ფუნქცია („აღნიშნავს რისამე მატარებლობა“), შემორჩენილია ძველი წარმოების სიტყვებში: გვირგვინ-ოსან-ი, მანდილ-ოსან-ი, წვერ-ოსან-ი, ქუდ-ოსან-ი... ხოლო სხვა სახელები, რომლებიც ძველ ქართულში -ოსან სუფიქსის დართვით რისამე მქონებლობას აღნიშნავდნენ, დღეს -იან მაწარმოებლით გადმოსცემენ ამავე სემანტიკას: თმ-ოსან-ი — თმ-იან-ი...

<sup>13</sup> აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 124.

თანამედროვე მწიგნობრულმა მეტყველებამ გააატიურა და ახალი ფუნქციებითაც აღჭურვა -**ოსან** სუფიქსი.

1. ა) მქონებლობის წინაარსისა ახლადწარმოქმნილი სახელები: **კარგ-ოსან-ი**, **ფრიად-ოსან-ი**, **ცუდ-ოსან-ი**, **ფაფარ-ოსან-ი**, **კულტურ-ოსან-ი**, **ორდენ-ოსან-ი**...

ბ) აღნიშნავს მცენარეთა, ცხოველთა და ფრინველთა გვარს, სახეობას, ჯიშს: **გიორ-ოსან-ი**, **ფირფიტ-ოსან-ი**, **ქოლგ-ოსან-ი**, **ტუჩ-ოსან-ი**, **ჩლიქ-ოსან-ი**, **რქ-ოსან-ი**, **ფრთ-ოსან-ი**.

2. ა) აწარმოებს პროფესიის აღნიშვნელ სახელებს: **დაწვ-ოსან-ი**, **ზღვა-ოსან-ი**, **კალმ-ოსან-ი**, **მშვილდ-ოსან-ი**, **მძლე-ოსან-ი**, **ნიჩ-ოსან-ი**, **ძალ-ოსან-ი**.

ბ) ამ რიგის სახელებმა შეიძლება რაიმე მოძრაობის, მიმართულების, წამოწყების მიმდევრობაც უჩვენოს: **ხალხ-ოსან-ი**, **ჯვარ-ოსან-ი**...

-**ოსან**-მაწარმებლიანი პროფესიის სახელები გასუბსტანტივებულია.

საფიქრებელია, რომ -**ოსან**-სუფიქსიანი ფორმის ახალი წინაარსით დატვირთვას ხელი შეუწყო იმანაც, რომ ახალ ქართულში მქონებლობის წინაარსით -**იან**-სუფიქსიანი ფორმები იხმარება, -**ოსან**-სუფიქსიანი სახელები კი მწიგნობრული მეტყველების კეთვნილება გახდა. მაგ.:

1. **რქ-იან-ი** და **რქ-ოსან-ი**: -**იან**-მაწარმებლიანი ფორმა, ახალი ქართული სიტყვაწარმოებითი მოდელის მიხედვით, რქის მქონე რომელიმე ცხოველს აღნიშნავს, -**ოსან**-მაწარმებლიანში კი სხვა წინაარსია ხაზგასმული: აღნიშნავს რქის მქონე (მატარებელი) პირუტყვას სახეობას. შდრ.: **სხივ-იან-ი** და **სხივ-ოსან-ი**, **ქოლგ-იან-ი** და **ქოლგ-ოსან-ი**, **თავ-იან-ი** და **თავ-ოსან-ი**, **კალმ-იან-ი** და **კალმ-ოსან-ი**...

-**ოსან** მაწარმებელი დაერთვის ქართული წარმოშობის ერთ-ან ორმარცვლიან ძირებს. უცხო წარმომავლობის სახელებზე მისი დაართვის შემთხვევები ძალზე იშვიათია: **ტორპედ-ოსან-ი** (სამხ. გემი ან თვითმფრინავი, რომელსაც აქვს ტორპედოების სატყორცნი აპარატი; VI), **პორფირ-ოსან-ი** (ძვ. პორფირით მოსილი, VI), **კულტურ-ოსან-ი**.

-**იერ**:

1. **იერ** (→**-იელ**) სუფიქსი ძველ ქართულში მქონების სახელთა ყველაზე აქტიური მაწარმოებელი იყო: **მანკ-იერ-ი**, **სახ-იერ-ი**, **ამ-იერ-ი**, **გონებ-იერ-ი**. ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ მისი საშუალებით ზნეური ფორმებისგანაც კი იწარმოებოდა ზედსართავები:

მაქუს-იერ-ი, მშ-იერ-ი, ცბ-იერ-ი, კადნ-იერ-ი...<sup>14</sup> დღესაც ვხვდებით -იერ სუფიქსით ნაწარმოებ კონეზის სახელებს: ლმობ-იერ-ი, წად-იერ-ი, მადლ-იერ-ი, გულისხმ-იერ-ი, ნავთ-იერ-ი, გონ-იერ-ი...

2. ალ. მანჯგალაძის აზრით, -იერ სუფიქსს წარმომავლობის ჩვენებაც შეუძლია: თხ-იერ-ი, ე. ი. ის, რაც თხისაგან მომდინარეობს<sup>15</sup>.

წარმომავლობა-სადაურობის მაჩვენებელია -იერ ქვემოწამოთვლილ სახელებშიც: დასაბამ-იერ-ი, ევროპ-იელ-ი, შორ-იელ-ი, ზეც-იერ-ი// ც-იერ-ი (1. ძვ. რელიგ. ზეცაში მყოფი, პოეტ. გადატ. ვითომც ზეციურ მოვლენილი, არამიწიერი (ვიწმუ, — ქეგლ, IV), ბარაკ-იელ-ი (მონა, — ძქელ; მსახური, წინაშე მყოფი, — საბა).

ამავე ფუნქციით იხმარება -იერ დიალექტებში: აქარულში, თუ-შურში, რაჭული კილოს გლოლურ თქმაში: „სოფლ-იერ-ებ-სა კარგი ექიმობა ვცოდნიათ“<sup>16</sup> (სოფლ-იერ-ებ-ი = სოფლ-ელ-ებ-ი). ასეთ ვითარებაში ბუნებრივია დავსვათ კითხვა: ხომ არ შეიძლება დავუშვათ, რომ -იერ-ის თავდაპირველი ფუნქცია წარმომავლობა-სადაურობის ჩვენება ყოფილიყო. გლოლური (და საერთოდ შთის კილოები) ძველი ქართულის ვითარებას ასახავს წირ შემთხვევაში. აქვე უნდა გავიხსენოთ არნ. ჩიქობავას ვარაუდი -იან და -იერ აფიქსთა ფუნქციური იგვეობის შესახებ: „-იერ სუფიქსი შთის კილოებში -იარ-ის სახითაა წარმოდგენილი: ბედნ-იარ-ი... ამგვარად, ერთმანეთს უპირისპირდება: -იან და -იარ. ეს კი ბუნებრივად ჰბადებს კითხვას, ხომ არ არის ეს ორი სახე ერთი და იმავე სუფიქსისა, სხვადასხვა ენობრივი ფენების მიხედვით განსხვავებული“<sup>17</sup>, — შით უმეტეს, რომ რთული აფიქსის პირველი ნაწილი საერთოა: ი-ი-ისაგან მომდინარეობს<sup>18</sup>.

თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი წარმომავლობის -ურ სუფიქსის ჩამოყალიბების პროცესის გათვალისწინებისას ამოსავალ ფორმად -იფ-ერ-ს ასახელებენ<sup>19</sup>.

ამ მონაცემთა გათვალისწინებით კი ხერხდება დავასკვნათ, რომ -იან აფიქსის მსგავსად, -იერ-იც თავდაპირველად წარმომავლობის მა-

14 იმ. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 434; ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, 1969, გვ. 169.

15 ალ. მანჯგალაძე, -ურ სუფიქსისათვის ძველ ქართულში; ივე, V, 1953, გვ. 498.

16 ლ. ჭანყარაშვილი, რაჭული კილოს გლოლური მეტყველება: ისტ. ფილოლოგია და სტრუქტურ. საზღვ. შრ. კრებული, I, 1961, გვ. 294.

17 არნ. ჩიქობავა, -ონ სუფიქსი მეგრულში: ისტ. შრომები, VI, 1926, გვ. 306; ა. შანაძე, ქართული კილოები მთაში; თხზ., ტ. I, გვ. 18.

18 არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართულურ ენებში, თბ., 1942, გვ. 82.

19 თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართულურ ენებში, თბ., 1964, გვ. 125.

წვენიერად იყო, ქონების შინაარსით ხმარება მისთვის მეორეული მოვლენა.

ერთ კერძო შემთხვევაში -იერ-სუფიქსიანი ფორმა ხელობის აღმნიშვნელია: **ბაზ-იერ-ი** მექორე — მეშევარდნე, საბა), შდრ.: **ბაზ-ი** — შევარდენი, ქორი, მიმინო და: **ბაზ-იერ-ი** (დამგერწველი და ზედამხედველი ამა ფრინველთა, დ. ჩუბინ.).

-იერ სუფიქსით ნაწარმოები სახელმწიფო ფორმებია: **მოხ-იერ-ი** (ჩაკმული), **ნაშობ-იერ-ი** (წვილი), **სურ-იელ-ი** (მონადირე), **წყურ-იელ-ი** (მწყურვალე)...<sup>20</sup>.

-იერ სუფიქსი ახალ ქართულში ვეღარ აწარმოებს ახალ სიტყვებს<sup>21</sup>.

-ედ:

-ედ სუფიქსი ძველ ქართულში ქონების სახელთა მაწარმოებელი იყო. ამავე მნიშვნელობითაა შემორჩენილი რამდენიმე ძველი წარმოების სიტყვა: **ვარსკვლავ-ედ-ი**, **კარვ-ედ-ი**, **მრჩობლ-ედ-ი**, **ბორჯღლ-ედ-ი**, **ცაღარ-ედ-ი**, **თანავარსკვლავ-ედ-ი**, **კამარ-ედ-ი**, **მუხლ-ედ-ი**... VI—IX სს. ძეგლებში -ედ სუფიქსის ხმარება სპორადულია, თუმცა იგი გვხვდება მიმდებარებულ, რიცხვით სახელებშიც, ზედსართავ და არსებით სახელებშიც: „**მო-რბ-ედ**, **მო-ქმ-ედ**, **ფესუ-ედ**... აღსანიშნავია, რომ -ედ სუფიქსი ფართოდ აქვს გამოყენებული საბა-სულხან ორბელიანს სიტყვათა განმარტებისას გამოთქმებში. მოვლენა წმინდა მწიგნობრულია: ყველგან -ედ სუფიქსი -იან სუფიქსის მაგივრობას ეწევა. მაგალითად: ფიჩხი = **შტოედი** შეშა...“<sup>22</sup>.

-ედ სუფიქსი დღეს მნიშვნელობის მცველ მოქმედ აფიქსად აღარ მიაჩნევა<sup>23</sup>. მაგრამ უკანასკნელ ხანებში არის ცდა -ედ კვლავ გააცოცხლონ მეცნიერების სხვადასხვა დარგში ტერმინთა შესაქმნელად: **გეოგრაფიაში**: **კუთხ-ედ-ი**; **გეოგრაფიაში**: **გან-ედ-ი**, **გრძ-ედ-ი**...; **ფიზიკაში**: **ქმ-ედ-ი**, **ტოლქმ-ედ-ი**...; **არქიტექტურაში**: **თაღ-ედ-ი**...; **ფილოლოგიაში**: **პწკარ-ედ-ი**...; **ბიოლოგიაში**: **უჯრ-ედ-ი**...; **ტექნ. ლიტერატურაში**: **ჩონჩხ-ედ-ი** (სპეც. კარკასი, VIII), **თარო-ედ-ი** (სპეც. თაროებიანი დვაში, IV), **წინწყლ-ედ-ი** (მნიშვნ. 2. პოლიგრ. წიგნის წემონაჭრის შეფერალოზა საღებავის წვრილი წინწყლებით, VIII), **ქვ-ედ-ი** (სპეც. ლუმინის ძირი, ფსკერი, რაზედაც საწვავი იყრება, VII). ასევეა ნაწარმოები: **ხუთწლ-ედ-ი**, **ათწლ-ედ-ი**...

<sup>20</sup> ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

<sup>21</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 125.

<sup>22</sup> არს. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში; გვ. 97, 98;

<sup>23</sup> არს. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952, გვ. 245.

-ედ არ დაერთვის უცხო წარმომავლობის სახელებს და ვერც წარმოქმნილი სახელებია ხელახალი მაწარმოებლის როლში გვევლინება.

შეიძლება დავასკვნათ: ქონების აღმნიშვნელ აფიქსთაგან ენის ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში თითოეულის სამოქმედო ძალა სხვადასხვაგვარი იყო. ძველ ქართულში ნაკლებგავრცელებულმა სუფიქსმა -იან-მა და ა-მ ახალ ქართულში დიდად გაიფართოვეს სამოქმედო არე, რადგან ძველად გავრცელებულ -ოვან, -ოსან, -იერ, -ედ სუფიქსთა ფუნქციების გამოხატვა ძირითადად მათ იჭვირთეს (განსაკუთრებით -იან სუფიქსმა).

ახალ ქართულში ხმარებული -ოვან, -ოსან, -იერ, -ედ-სუფიქსიანი სახელები უმთავრესად ძველ წარმოებისაა.

იმის გამო, რომ მქონებლობა შინაარსის სახელები -იან სუფიქსით ვადმოიცემა, ენამ -ოვან და -ოსან აფიქსები ახალი ფუნქციით აღჭურვა. მაგ., -ოვან-სუფიქსიანი სახელი ახალ ქართულში აღნიშნავს საგნის თვისება-მსგავსებას, მიუთითებს საგნის სიმრავლეზე და მეცნიერების სხვადასხვა დარგში ტერმინთა შესაქმნელად გამოიყენება. -ოსან სუფიქსით პროფესიისა და მიმდევრობის აღმნიშვნელი სახელები იწარმოება, ზოგჯერ კი მას შეუძლია მიუთითოს მცენარეთა, ფრინველთა და ცხოველთა გვარ-სახეობაზე. ტერმინოლოგიური და აღნიშნულებისათვის გააცოცხლეს -ედ სუფიქსიც<sup>24</sup>, -იერ მაწარმოებლით კი ახალ ქართულში ახალი სახელები ვერ იწარმოება.

## II. უძონლობის სახელთა წარმოება

უ — ო, უ — ურ, უ-, უ — არ

უქონლობის შინაარსის გადმოსაცემად ქართულ ენაში გამოიყენება უ — ო, უ — ურ, უ-, უ — არ აფიქსები<sup>25</sup>.

უ — ო: ზემოჩამოთვლილ აფიქსთაგან ქართულში ყველაზე მრავალრიცხოვანი და გავრცელებულია უ — ო აფიქსიანი სახელები. აღნიშნული კონფიქსით იწარმოება ქართული და უცხო წარმომავლობის ერთ-, ორ- და მრავალმარცვლიანი ფუძეები: უ-საბაბ-ო, უ-ფესვებ-ო, უ-გუნებ-ო, უ-ზნე-ო, უ-ბიფათ-ო, უ-პასტერიზაცი-ო, უ-მეტნაკლებ-ო, უ-თადარიგ-ი, უ-ლაშხ-ო, უ-ჩემ-ო...

<sup>24</sup> „-ედ საბას დროსაც არ ყოფილა პროდუქტიული, მაგრამ საბას ეტიმოლოგიურმა აღიარებამ აღუდგინა მნიშვნელობა“, — არნ. ჩიქობავა, ადგილის სახელთა წარმოების ტიპები და მათი ისტორიული ურთიერთობა ქართულში: იკვ, XIX, 1974, გვ. 70.

<sup>25</sup> აკ. შიანიძე, ქართული ენის ვრამბატაგის საფუძვლები, გვ. 126.

უ — ო დაერთვის ნებისმიერ ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეს: უ-ბინა-ო, უ-მქა-ო, უ-კონდიცი-ო, უ-ტყვი-ო, უ-მწე-ო, უ-დრო-ო, უ-თუ-ო... ფუძის ბოლოკიდურად დასტურდება ყველა თანხმოვანი ჰ-ს გარდა.

უ — ურ კონფიქსი მხოლოდ ქართული წარმოშობის ერთმარცვლიან ძირებს დაერთვის: უ-წვერ-ულ-ი, უ-ფსკრ-ულ-ი, უ-თა-ურ-ი, უ-წიგნ-ურ-ი, უ-ბედ-ურ-ი..

უ — ურ აწარმოებს მხოლოდ ა და ე ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებს: უ-ხვა-ურ-ი, უ-თა-ურ-ი, უ-ცნა-ურ-ი, უ-ხნე-ურ-ი, უ-დღე-ურ-ი, ფუძის ბოლოკიდურად ხშირია რ, მ, ს, იშვიათი — დ, ზ, თ, ლ, ნ, ყ, ც, ძ, წ, ხ, ჯ.

უ — ურ არ დაერთვის უცხო წარმომავლობის სახელებს.

როგორც ვნახეთ, უ — ო და უ — ურ-კონფიქსიან ფორმათა ხვედრითი წონა, ფუძეებთან მათი განაწილებისა თუ გავრცელებულობის თვალსაზრისით, სხვადასხვანაირია.

უ — ო წარმოების ჯგუფი განაკუთრებით მოქმედი და დამკვიდრებულია. ასეთი მდგომარეობა იყო ძველ ქართულშიც. იგი დაერთოდა ყოველგვარ სახელს, საკუთარსაც კი: „და ამას ყოველთა თანა უშიშ არს გული მათი უქრისტოთა მათ ურწმუნოთაგან (ხანძთ).“<sup>26</sup>

საკითხი ისმის: უ — ურ-მაწარმოებლიან სახელთა შედარებითი სიმცირე ადრინდელ ენათარებას ასახავს თუ მეორეულია? სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოაზრება რომ უ — ო და უ — ურ მაწარმოებლები წარმოშობით ერთნი არიან, მაგრამ „მათი გამოყენება ქართული სალიტერატურო ენის ხაზით განსხვავებულია ქრონოლოგიურად: უფრო ძველია უ — ურ, მაგრამ ამ წარმოების მაგალითებიდან მხოლოდ ნაშთია მოღწეული“<sup>27</sup>. ჩვენ მიერ გაანალიზებული მასალის მიხედვით ირკვევა, რომ უ — ურ მაწარმოებელი დაერთვის მხოლოდ უმარცვლო ან ერთმარცვლიან ქართული წარმომავლობის სახელებს. ხმოვანთაგან კი ფუძის დაბოლოებად შეიძლება იყოს მხოლოდ ა და ე. ამიტომ შეუძლებელი იყო უ — ურ-ს ეწარმოებინა უქონლობის აღმნიშვნელი ყველა სახელი. უ — ო-კონფიქსიანი მოდელი კი ძველთაგანვე უფრო გავრცელებული უნდა ყოფილიყო იმის გამო, რომ იგი ყოველგვარ სახელს არ დაერთოდა.

ზოგიერთ სახელში უქონლობა მხოლოდ უ — ურ კონფიქსითაა გამოხატული. მათ შესაბამისი მნიშვნელობის უ — ო-მაწარმოებლიანი

26 ივ. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნვა და ბრუნეთა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957, გვ. 431.

27 ავ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 126.

პარალელური ფორმები არ წიგნობებთან. ამდენად ისინი ერთადერთი შესაძლებელი ფორმებია ამ ფუძეთაგან უქონლობის აღსანიშნავად: უ-მარ-ულ-ი, უ-რჩხ-ულ-ი, უ-ცნა-ურ-ი, უ-წმინდ-ურ-ი, უ-ხდ-ურ-ი, უ-თავგზ-ურ-ი, უ-კეთ-ურ-ი, უ-ხელთ-ურ-ი, უ-ამ-ურ-ი, უ-ყამ-ურ-ი, უ-გემ-ურ-ი, უ-სუხ-ურ-ი, უ-ძუძ-ურ-ი, უ-წმაწ-ურ-ი, უ-ჯმაჯ-ურ-ი, უ-ნდა-ურ-ი, უ-ნებ-ურ-ი, უ-ხვა-ურ-ი.

უ — ურ კონფიქსის დართვა ზოგჯერ ფუძისეული ხმოვნის რედუქციას იწვევს მაშინ, როცა იმავე შინაარსის უ — ო-მაწარმოებლიანი ფორმა ურედუქციოა. შდრ. უ-ძალ-ო და უ-ძლ-ურ-ი, უ-ფსკერ-ო და უ-ფსკრ-ულ-ი. ფუძის სახეცვლილება ზოგჯერ მნიშვნელობის შეცვლას იწვევს. მაგ.: უ-ყამ-ო//უ-ყამ-ურ-ი (ძვ. უდროო) და უ-უმ-ურ-ი (1. მიუკარგებელი, ძველად შესაგუებელი ადამიანი, 2. უსიამოვნო (დღე), 3. საზარელი სიზმარი, 4. ერთგვარი სენი).

უ — ო და უ — ურ აფიქსების ერთსა და იმავე ფუძეზე დართვით ზოგჯერ იდენტური სემანტიკის სახელია ნაწარმოები. მაგ.: უ-ბედ-ო — უ-ბედ-ურ-ი, უ-დღე-ო — უ-დღე-ურ-ი, უ-ზნე-ო — უ-ზნე-ურ-ი, უ-მადლ-ო — უ-მად-ურ-ი<sup>28</sup>, უ-პირ-ო — უ-პირ-ულ-ი, უ-ყამ-ო — უ-ყამ-ურ-ი, უ-ფას-ო — უ-ფას-ურ-ი, უ-ცეცხლ-ო — უ-ცეცხლ-ურ-ი, უ-ძალ-ო — უ-ძლ-ურ-ი, უ-წეს-ო — უ-წეს-ური.

ორი ერთგვარი მნიშვნელობის სახელთა არსებობას ხშირად თანსდევს სემანტიკური ცვლატ. სემანტიკური გადახრები ზოგჯერ უმნიშვნელო ხასიათისაა, ზოგჯერ კი საკმაოდ დაცილებულია ამოსავალ მნიშვნელობას. შდრ.: უ-დაბნ-ო (1. დედამიწის დაუსახლებელი ნაწილი, ჩვეულებრივ, უწყლო და უმცენარო, 2. განმარტობით მდგარი მონასტერი, VI) და უ-დაბ-ურ-ი (1. დაუსახლებელი, მივარდნილი, მიუვალი ადგილი, 2. გაუვალი, უღრანი, უსიერი, VI). უ — ო-მაწარმოებლიანი ფორმა გაარაგებთებულია, უ — ურ-მაწარმოებლიანი კი შენარჩუნებული აქვს ზედსართაული გაგება: უდაბური ტყე.

უ-ხერხ-ო (1. მოუხერხებელი; 2. რაც ხერხიანად არ კეთდება, VI) და უ-ხერხ-ულ-ი (რაც ვერ მოახერხეს... უშნო, უფხო... (გადატ.), სანოთარო, უადგილო, შეუფერებელი, VI).

უ-თავ-ო და უ-თა-ურ-ი, უ-ფერ-ო და უ-ფერ-ულ-ი, უ-საქმ-ო და უ-საქმ-ურ-ი, უ-სახ-ო და უ-სახ-ურ-ი, უ-წვერ-ო და უ-წვერ-ულ-ი, უ-კაც-ო და უ-კაც-ურ-ი, უ-გონ-ო და უ-გუნ-ურ-ი.

<sup>28</sup> „ლ-სუფიქსიანი სახელები (მადლ, კამლ და მისთ.) უარყოფითი შინაარსის ფორმებში ამ სუფიქსის ვარეშე არიან წარმოდგენილი: მადლ-ი — უ-მად-ურ-ი, კამლ-ი — უ-კამ-ურ-ი...“ (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტოპისისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1964, გვ. 298).

უ: უქონლობა ოდენ პრეფიქსითაც გადმოიცემა ქართულში: უ-ცნობ-ი, უ-ვიც-ი, უ-კმარ-ი, უ-რცხვი-ი, უ-რჭულ-ი, უ-ბირ-ი, უ-გბილ-ი, უ-მგზარ-ი, უ-ღირს-ი, უ-წვ-ი, უ-ზავ-ი, უ-ზვ-ი, უ-კუნ-ი, უ-კადრ-ი, უ-ღრან-ი, უ-ყ-ი (ყამის), უ-შმ-ი, უ-ცბ-ი, უ-ნჭ-ი, უ-რეკ-ი (გურ. სადაც არ უნაღირათ, გაუფალი ტყე, VI), უ-სრულ-ი, უ-ქმ-ი, უ-ტყვ-ი, უ-რჩხ-ი, უ-ხამს-ი... ძველი ქართულიდან: უ-შიშ-ი, უ-მწყ-ი (უხედნი), უ-რჩ-ი (არამორჩილი), უ-სხ-ი (მსუქანი).

ასებობს ამჟამად უკვე გავრცელებული თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც: უქონლობის, წინა ვითარებისა და დანიშნულების სახე-ლებში ამოსავლად მიაჩნიათ ოდენ პრეფიქსით ნაწარმოები ფორმები<sup>29</sup>. ზემოგანხილული მაგალითები კიდევ ერთხელ ადასტურებს პრეფიქსუ-ლი წარმოების უწინარესობას. ქართველურ ენათა უარყოფითი ფორ-მების განხილვამ თ. გამყრელიძესა და გ. მაჭავარიანს აკარაუდებინა, რომ უ- მომდინარეობს ვე←(ფე) უარყოფითი ნაწილაკისაგან. ამ ნა-წილაკის ნულსათვისურიანი ვარიანტი უარყოფის უ-პრეფიქსის სა-ხით დასტურდება ყველა ქართველურ ენაში: ქართ. უ-კმ-ელ-ი, მეგრ. უ-ქკომ-ურ-ი, ჭან. უ-გუზ-ე, სვან. უ-მჩ-ა<sup>30</sup>.

უარყოფითი ფორმებია განხილული ვ. თოფურიას ნაშრომში „ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან“, რომლის მიხედვითაც: 1. „ქართველურ ენებში საგნის უქონლობა გადმოიცემოდა სუფიქსუ-რი წარმოებით და 2. უქონლობის გამოჩნატველი იყო საერთო ბოლო-სართი -ურ“<sup>31</sup>.

უქონლობის სახელთა მწარმოებლები ქართველურ ენათა მიხედ-ვით ასეთ სურათს გვიჩვენებს:

ქართ. უ — ი, უ — ურ

მეგრ. უ — ი, უ — ე, უ — ურ, უ — ილ

ჭან. უ — ე, უ — ელ

სვან. -ურ.

როგორც ვხედავთ, ქართულ-ხანურ უარყოფით ფორმათა მ-წარმოებლებში საერთო ელემენტია თავსართი უ- (სვანური წარმო-

<sup>29</sup> ვ. ბერძე, საგან სიტყვის ეტიმოლოგიისათვის; რუსთველოლოგიური შტუდები, 1959, გვ. 137; ქ. ლომთაძე, დილა სიტყვის დილ სახეობისათვის „ვეფხისტყაოსანი“; ივე, XV, 1966, გვ. 35—36; გ. ბურჭულაძე, სახელთა ოდენპრეფიქსული წარმოებისათვის ქართულში: თსუ სტუდ. XXII სამეცნიერო კონფერენციის მუშაობის შედეგა და მოხსენების თეზისები, 1960; ვ. გოგოლა-შვილი, სახელთა ოდენპრეფიქსული წარმოებისათვის ქართულში: თსუ სტუდ. სამეც. შრომების კრებული, VII, 1970, გვ. 42—50.

<sup>30</sup> თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუ-ტი ქართველურ ენებში, გვ. 323.

<sup>31</sup> ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან; ენიმკის მონაბე, ტ. V—VI, თბ., 1940, გვ. 437—539.

ება კი განსხვავებულია — იგი თანდებულოვანი წარმოშობისაა<sup>32</sup>. ამიტომ, საფიქრებელია, რომ დასახელებულ კონფიქსებში: უ — ო, უ — ურ, უ — ე, უ — ოლ, უ — უ უქონლობის გამომხატველია პრეფიქსი უ-, სუფიქსების დანიშნულება კი საკვლევა. მაგ., უ-ცნა-ურ ფორმაში ცნობის უარყოფას (უქონლობას) მხოლოდ უ- გამოხატავს, -ურ კი საპირისპირო დადებით სემანტიკის ფორმაშიც რჩება: სა-ცნა-ურ-ი.

ან კიდევ: უ-თა(ვ)-ურ-ში უარყოფა-უქონლობას უ- პრეფიქსი აღნიშნავს და არა -ურ სუფიქსი. ეგვევ -ურ ჩანს თა(ვ)-ურ, მე-თა(ვ)-ურ ფორმებშიც, მაგრამ არ იგრძნობა, რომ -ურ სუფიქსს უქონლობის შინაარსი აქვს. ე. ი. ისტორიულად უქონლობა უ- პრეფიქსით აღინიშნება, -ურ, -ო კი თვით საწარმოებელი ფუძის კუთვნილება. თავის მხრივ, ეს საწარმოებელი ფუძე წარმოქმნილია, ოღონდ განსხვავებული სემანტიკისაა. როგორც ჩანს, უქონლობის აღნიშვნელ კონფიქსებში სუფიქსის დანიშნულება სხვა იყო. მას შემდეგ, რაც ამ სუფიქსის ფუნქცია მიიჩნეა, პრეფიქსთან ერთად მან ახალი კონფიქსი შეადგინა. ხოლო როცა ეს უკანასკნელი გააზრიანდა დამოუკიდებელ აფიქსად, იგი სხვა ფუძეებთანაც იქნა გადატანილი და ახალი ფუნქციით მოგვევლინა.

უ — არ: უქონლობის შინაარსის გადმოსაცემად უ — არ კონფიქსიც (დასტურდება<sup>33</sup>: უ-ეც-არ-ი, უ-შიშ-არ-ი, უ-ჩუმ-არ-ი, უ-მეც-არ-ი, უ-სუ-არ-ი (ყრმა), უ-ტყუ-არ-ი, უ-წყინ-არ-ი.

უქონლობის გამომხატველ სახელთა ჯგუფის განხილვა ასეთი ზოგადი დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა: საგნის უქონლობის აღსანიშნავად სველაზე გავრცელებულია უ — ო-კონფიქსიანი მოდელი. იგი დაერთვის ყოველგვარ სახელს და შეუზღუდავია ფუძეთა შერჩევის თვალსაზრისით. უ — ურ საწარმოებლის დართვა განსაზღვრულ პირობებს მოითხოვს: დაერთვის მხოლოდ უმარცვლო ან ერთმარცვლიან ქართული წარმოების სახელებს, ხმოვანთაგან კი მხოლოდ ა, ე ხმოვნებზე დაბოლოებულებს. ოდენპრეფიქსული წარმოება უძველესი ეთნარების წარმომჩენია. თანამედროვე ქართულში იზრდება ამგვარად ნაწარმოებ სახელთა რიცხვი, რაც ძირითადად სახელზმნურ ფორმათა ვასუზტანტივების შედეგად უნდა მომხდარიყო.

უარყოფითი შინაარსის გამომხატველი უძველესი ფორმანტია უ-.

<sup>32</sup> ნ. აბეაძის ეს მოხარება დამოწმებულია გ. ხორნაულოს სტატიაში „ურ სუფიქსის ფუნქციისათვის მთიულეთის ტოპონიმა მიზეზით“: „მაცნე“, 1973, № 3, უნისა და ლიტერატურის სერია, გვ. 136.

<sup>33</sup> ანტ. კიზირია, ქართული ენა, თბ., I, გვ. 158.

-ელ, -ურ, -იურ, -ეულ, -დელ, (ა-მდელ), -იონ

-ელ:

1. -ელ სუფიქსი ადამიანთა სადაურობისა და წარმომავლობის მაჩვენებელია. იგი დაერთვის გეოგრაფიულ და ადგილის სახელებს და აღნიშნავს ფუძით დასახელებული პუნქტის მკვიდრს, მცხოვრებს: აზი-ელ-ი, კავკასი-ელ-ი, ესპან-ელ-ი, ეგვიპტ-ელ-ი, ვაკ-ელ-ი, თემ-ელ-ი...

2. -ელ სუფიქსით იწარმოება მიმდევრობის (რომელიმე წარმოება-მოდრობის მიმდევრობის) აღმნიშვნელი სახელები: ლენინ-ელ-ი, კომკავშირ-ელ-ი, ნეოკანტ-ელ-ი... ამ ფუნქციით -ელ უცხო წარმომავლობის აფიქსის -ისტ-ის ფარდია: მონარქი-ელ-ი//მონარქ-ისტ-ი, მაგრამ ამ ტიპის სახელთა გაქართულების პროცესი დასრულებული რომ არ არის, ამასე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ ზოგ სახელში -ისტ-აფიქსიან ფორმას -ელ ვერ ენაცვლება. შურ, უირონდ-ელ-ი და უირონდ-ისტ-ი, მაგრამ არა ვვაქს: მარქს-ელ-ი, სოციალ-ელ-ი ნაცვლად მარქს-ისტ-ისა, სოციალ-ისტ-ისა.

XIX ს. დასასრულსა და XX ს. დასაწყისში -ელ სუფიქსი მიმდევრობას აღნიშნავდა -იან-სუფიქსიან ფორმაზე დართვით: ნიცშე-ან-ელ-ი, ჰეგელ-იან-ელ-ი, ვოლტერ-იან-ელ-ი, კანტ-იან-ელ-ი...

3. -ელ სუფიქსმა უკანასკნელ ხანებში ახალი ფუნქცია შეიძინა: იგი პრეფიქსის სახელთა მაწარმოებელი გახდა: მადარო-ელ-ი, დემო-ელ-ი, შახტ-ელ-ი (=მე-შახტ-ე), რაზმ-ელ-ი, დინამო-ელ-ი, ჩოგბურთ-ელ-ი, ფენბურთ-ელ-ი, მილიცა-ელ-ი...

ძველ ქართულში -ელ სუფიქსის ხმარების მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა დასტურდება: საღუკვე-ელ-ი, ისმაციტ-ელ-ი//ისმა-ელ-ი, ლევიტ-ელ-ი...

-ელ-ის თავდაპირველი ფუნქცია იყო, ეჩვენებინა რომელიმე რელიგიის მიმდევრობა, ან აღუნიშნა შთამომავლობა და მემკვიდრეობა (ლევიტელი = ლევის ჩამომავალი, — ძქელ). ცნობილია, რომ ძველსავე ქართულში ამ როლში -იან-იან სუფიქსი გამოდიოდა: მაჰ-მად-იან-ი, ქრისტ-იან-ი... მოგვიანებით -იან სუფიქსი მქონებლობის აღმნიშვნელ სახელთა მაწარმოებელი გახდა. ადამიანთა წარმომავლობისა და რისამე მიმდევრობის ჩვენება -ელ სუფიქსს დაეკისრა: სამარიტ-ელ-ი, სპარს-ელ-ი, ქართველ-ი, შორი-ელ-ი, ჰებრა-ელ-ი... -ელ სუფიქსი ხშირად მ-პრეფიქსთან ერთად იყო წარმოდგენილი: მ-როვ-ელ-ი, მ-აჩაბ-ელ-ი, მ-ეგვიპტ-ელ-ი, მ-ეგრ-ელ-ი...<sup>34</sup>

<sup>34</sup> აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 127.

ამ-ერ და იმ-ერ ფორმებში -ერ წარმომავლობის აღმნიშვნელი იყო ძველ ქართულში. იგი თანაბრად მიუთითებდა როგორც აღამიანთა, ისე არააღამიანთა სადაურობაზე<sup>35</sup>. მას შემდეგ, რაც -ერ სუფიქსით წარმომავლობა აღარ გამოიხატებოდა, იგი მთლიან ფუძედ გააზრიანდა და წარმომავლობის უფრო ცხადად გამოიხატველი -ელ და -ურ აფიქსები დაირთო: იმერ-ელ-ი, იმერ-ულ-ი.

აღამიანთა სადაურობას ძველ ქართულში -ივ სუფიქსიც გამოხატავდა: ნათესავნი სოფელ-ივ-ნი<sup>36</sup>. -ივ და -ერ წარმომავლობას სუფიქსთა შეერთებით მიღებული -იერ (←-ივ-ერ) უმთავრესად ქონების სახელთა მაწარმოებელი იყო ძველ ქართულში (მაგ., ცოლ-იერ-ი), მაგრამ სავარაუდოა, რომ მას თავდაპირველად წარმომავლობის აღნიშვნა ევალებოდა: თიყნ-იერ-ი (თიყნის ტყავი, — ძეგლ), ზურგ-იელ-ი, ც-იერ-ი, მიწ-იერ-ი... ეს მთა უფრო საგულისხმოა, რომ -იერ-სუფიქსიან სახელებს წარმომავლობის აღსანიშნავად -იურ-სუფიქსიანი ფორმები შეენაცვლა<sup>37</sup>: ც-იერ-ი→ც-იურ-ი, მიწ-იერ-ი→მიწ-იურ-ი...

ტოპონიმებზე -ელ სუფიქსის დართვისას ძველ ქართულში -ის და -ეთ ტოპოფორმანტები იკარგებოდა: თბილ-ის-ი→თბილ-ელ-ი, დუშეთ-ი→დუშეთ-ელ-ი<sup>38</sup>, მაგრამ ამჟამად ტოპოფორმანტები ხშირად შენარჩუნებულია: თბილ-ის-ელ-ი, თიანეთ-ელ-ი. ასევეა: ქობულ-ეთ-ელ-ი, ჭვიშ-ეთ-ელ-ი, ზომლ-ეთ-ელ-ი, თრიალ-ეთ-ელ-ი, წყნ-ეთ-ელ-ი...<sup>39</sup>

ტოპონიმ ხევ-ისაგან წარმომავლობის აღმნიშვნელად -ელ სუფიქსის ნაცვლად მო — ე-აფიქსებიანი ფორმაა: მო-ხევ-ე<sup>40</sup>. ამგვარივე წარმოების მო-ფრანგ-ე-ნი დადასტურებულია „ვეფხისტყაოსანშიც“.

-ურ(→-ულ): 1. -ელ სუფიქსის საპირისპიროდ, -ურ სუფიქსი გეოგრაფიულ სახელებზე დაროვით არააღამიანთა წარმომავლობას აღაურობის მაჩვენებელია: ებრა-ულ-ი, ფშა-ურ-ი, გელაქნ-ურ-ი... შტრ.: გელაქნ-ელ-ი კაცო — გელაქნ-ურ-ი ნუთი. „ასეთი განსხვავება -ელ და -ურ სუფიქსს შორის მხოლოდ სამწერლო ენასა და ზოგ კილოშია გატარებული, მაგრამ ზოგიერთი კილო -ელ სუფიქსს მარტო აღამიანზე კი არა, სხვა საგნებზედაც ხმა-

35 ილ. მანჯგალაძე, -ურ სუფიქსისათვის ძველ ქართულში, გვ. 496.

36 იქვე, გვ. 497.

37 ილ. მანჯგალაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 496.

38 ლ. ლევაჯა, -ეთ და -ის აფიქსებიან ტოპონიმთაგან სადაურობის სახელთა წარმოებისთან დაკავშირებული საკითხები: ქსკს, II, თბ., 1979, გვ. 175—202.

39 ამასთან დაკავშირებით იხ.: ი. მაისურაძე, „დუშელი თუ დუშეთელი“: გაზ. „თბილისი“, 1962, 12. II; თ. იშხნელი, „გაუფრთხილდეთ ენის ნორმებს“: ქელს, 1970, № 2, გვ. 74—76.

40 ანტ. კეზირია, ქართული ენა, გვ. 159.

რობს და -ულ სუფიქსს, პირიქით, კაცის ვინაობის გამომხატველად<sup>41</sup>.

-ურ სუფიქსით ზოგჯერ ადამიანთა სადაურობაც აღინიშნება: ქუთათ-ურ-ი კაცი, გურ-ულ-ი კაცი... მეგრულში კი ყველა შემთხვევაში -ურ თანაბრად აღნიშნავს ადამიანისა და არაადამიანის წარმომავლობას: ბანძ-ურ-ი = „ბანძ-ელ-ი“/„ბანძ-ურ-ი“; შდრ. გურ-ულ-ი = ა) გურულ-ი ქალი, ბ) გურ-ულ-ი სოფელი. დასავლურ დიალექტებში -ურ სუფიქსის გამოვლენა მეგრულის გავლენით აიხსნება<sup>42</sup>, მაგრამ აღმოსავლურ დიალექტებშიც რომ მკვიდრია ეს მოვლენა? მაგ., ფწაურში: „სანათაი ვარ მე, შვილო, აფხუშოური ქალია“ (ვკა); გარეკახურში: „ორი კაცი წაიდა: ერთი გარეკული და ერთი გიორგიწმინდული...“<sup>43</sup>. ამან დააქვეა არნ. ჩიქოძეა და „-ელ და -ურ სუფიქსების გამოყენება ორი განსხვავებული კლას-კატეგორიის აღსანიშნავად“<sup>44</sup>, მეორეულ მოვლენად მიიჩნია, მით უფრო, რომ ზემოიშვრულში -ელ სუფიქსით ნიკთის სადაურობაცაა აღნიშნული: ბაღდად-ელ-ი ღვინო... ონ-ელ-ი შალი...<sup>45</sup>

ზემოთქმული კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ეს ორი შემთხვევა ერთმანეთთან სხვადასხვა მიმართებაშია: -ელ და -ურ აფიქსთა ამგვარი დაპირისპირება ქართულისათვის ტიპური არ ჩანს: იგი გვიანდელი გრამატიკული მოვლენაა<sup>46</sup>.

1. ცნობილია, რომ -ურ სუფიქსი X საუკუნიდან ჩნდება ქართულში<sup>47</sup>. მისი თავდაპირველი ფუნქცია წარმომავლობის ჩვენება იყო: კახ-ურ-ი, მაღრიზ-ულ-ი.

მთის დიალექტთა მონაცემების გათვალისწინებით ხერხდება გარკვეული დასკვნების გაკეთება: -ურ ძველ ქართულში მხოლოდ არაადამიანთა წარმომავლობის აღმნიშვნელი არ უნდა ყოფილიყო. -ურ-სუფიქსიანი ანთროპონიმები — ზვიად-ურ-ი, გოგოთ-ურ-ი... რომელთაგან შემდეგ გვარის სახელები იქნა წარმოებული: კინქარა-ულ-ი, ქეთელა-ურ-ი... — გვიდასტურებენ, რომ -ურ თანაბრად აღნიშნავდა როგორც არაადამიანთა, ასევე ადამიანთა წარმომავლობასაც. ზემოგანხილული -ურ- სუფიქსიანი ადამიანთა სადაურობის მაჩვენებ-

41 აკ. შანიძე, ვინაობის სუფიქსი -არ ქართულ ენაში: თხზ., ტ. I, გვ. 29.

42 არნ. ჩიქოძეა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება, გვ. 139.

43 იქვე.

44 იქვე.

45 იქვე.

46 კ. დონდუა, О двух суффиксах множественности в грузинском: რჩეული ნაწერები, თბ., 1967, გვ. 166.

47 აღ. მანჯგალაძე, -ურ სუფიქსისათვის ძველ ქართულში, გვ. 473.

ლი სახელები ამის შემდგომი ეტაპია: ტობონიმთაგან -ურ მიუთითებდა ადამიანთა წარმომავლობაზე: აფხუშო-ურ-ი.

2. -ურ სუფიქსმა ახალი ფუნქცია შეიძინა: იგი თავისეული აღმნიშვნელი გახდა: ეს მოვლენა XI ს. ჩნდება ქართულში<sup>48</sup>.

ახალ ქართულში -ურ სუფიქსი თვისების აღმნიშვნელ სახელთა ყველაზე აქტიური მაწარმოებელია. იგი დაერთვის როგორც ქართულ, ისე უცხო წარმომავლობის სახელს და აღნიშნავს თვისებას ძირეულ საგანთან მიმართებით: ბრიყვ-ულ-ი, ბერ-ულ-ი, ფერწერ-ულ-ი, ჯადო-ქრ-ულ-ი...

მთარგმნელობითმა პრაქტიკამ განაპირობა უცხო სიტყვათა ქართულად გადმოცემის საჭიროება. თვისების აღმნიშვნელი სახელები უმთავრესად -ურ სუფიქსით იწარმოება. უცხო წარმომავლობის სახელს ხშირ შემთხვევაში მსესხებელი ენის აფიქსიც ახლავს. ეს ვერ ზღუდავს -ურ სუფიქსს და ახალი სემანტიკის სახელს დაუბრკოლებლად აწარმოებს: დერივ-აცი-ულ-ი, დოქტრ-ინერ-ულ-ი, ორგან-იზო-ტორ-ულ-ი, პროზა-იკ-ულ-ი, მინერა-ლოგი-ურ-ი...<sup>49</sup>

3. მთიულეთის ტობონიმთა გაანალიზების შედეგად გამოითქვა აზრი, რომ -ურ სუფიქსის თავდაპირველი ფუნქცია კუთვნილებების გამოხატვა უნდა ყოფილიყო: ანაეულები, გოგოლაურნი, გოდეურნი... -ურ სუფიქსის მიერ სადაურობის აღნიშვნა კი მეორეულ, გვიან შეტანილ ფუნქციად იქნა მიჩნეული<sup>50</sup>.

-იურ (→ -იულ) სუფიქსი:

1. გეოგრაფიულ და ადგილის აღმნიშვნელ სახელებზე დართვით ურყენებს არაადამიანთა წარმომავლობას ადაურთობას: არქ-იულ-ი, ქვეყნ-იურ-ი, ევროპ-იულ-ი, მიწ-იურ-ი...

2. -იურ-მაწარმებლიანი საზოგადო სახელები მსგავსებათვისებსაც აღნიშნავენ ძირეულ საგანთან მიმართებით. ეს ფუნქცია, -ურ სუფიქსის მსგავსად, გვიან უნდა განვითარებულიყო წარმომავლობის შინაარსის მოდიფიკაციით: ა) თვისებების აღმნიშვნელია: მარად-იულ-ი, მშობლ-იურ-ი, მწ-იურ-ი, მით-იურ-ი, რას-იულ-ი... ბ) მსგავსების აღმნიშვნელია: წრ-იულ-ი (წრის მსგავსი, წრისებრი, VII).

<sup>48</sup> აღ. მანჯგალაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 473.

<sup>49</sup> უკანასკნელ ხანებში შეიმჩნევა, რომ -ურ სუფიქსის პარალელურად სა—ი (იშეითად -იბრავ) მაწარმოებლებითაც გადმოიცემა თვისების გამოხატველი სახელები: სა-გრამატიკათ — გრამატიკ-ულ-ი, სა-პოლემიკათ — პოლემიკ-ურ-ი...

<sup>50</sup> გ. ხორნაშული, -ურ სუფიქსის ფუნქციებისათვის მთიულეთის ტობონიმთა მიხედვით: „მაცნე“, ენისა და ლიტ. სერია, თბ., 1973, № 3, გვ. 131.

ც-იურ-ი, მზ-იურ-ი ტიპის სახელებში -იურ სუფიქსის თავდაპირველი ფუნქცია წარმოშობის ჩვენებაა. „ციური სხეულები“ ნიშნავს არა ცის თვისების მქონე სხეულებს, არამედ „ცის (ცაზე მყოფ) სხეულებს“. „ზეციური ნიჭი“ ნიშნავს არა ცის მსგავს ნიჭს, არამედ „ზეციდან მომდინარე (ბუნებრივ) ნიჭს“. მაგრამ ეგვიპე ფორმები სხვა კონტექსტში თვისების გამომხატველია: „რო ვნახე, გულში ჩამიდგა სიამოვნება ციური, მე ტრედისფერად მეჩვენა, სხივი მისდევდა მზიური“ (ეჯუ)<sup>51</sup>.

მ. დროის აღმნიშვნელ სიტყვებზე დართვით -იურ სუფიქსი პეროდულად მიმდინარე მოვლენებს აღნიშნავს: წლ-იურ-ი, ყოველთვ-იურ-ი, დღ-იურ-ი... ეს უკანასკნელი რამდენიმე მნიშვნელობის შემცველია და მასში თითქმის აღარც იგრძნობა -იურ სუფიქსის ძირითადი ფუნქციები.

-იულ:

1. -იულ სუფიქსით ნაწარმოები სახელები კუთვნილებას წარმოშობის აღმნიშვნელია. იგი უმთავრესად ნათესაობითი ბრუნვის ფორმას დაერთვის: დედ-ის-იულ-ი, სიმარ-ის-იულ-ი, წიად-ის-იულ-ი... გვხვდება უშუალოდ მართვ ფუძეზე დართვის შემხვევებიც: ზამთრ-იულ-ი, შორ-იულ-ი, ჩემ-იულ-ი...

-იულ-სუფიქსიანი რამდენიმე სახელი გასუბსტანტივებულია: დიაკ-იულ-ი, მკელ-იულ-ი, ძოწ-იულ-ი, კვერ-იულ-ი, თონ-იულ-ი...

2. -იულ სუფიქსის უმთავრესი ფუნქცია კრებითობის აღნიშვნაა, არსებით სახელზე დართვით იგი გვიჩვენებს საგნის სახეობის, ჯიშის სიმრავლე-კრებითობას. -იულ სუფიქსის ამ ფუნქციას თავდაპირველად ყურადღება მიაქცია ნ. ჩუბინაშვილი<sup>52</sup> და მას „შემკრებლობითი“ უწოდა: ბამბ-იულ-ი, ჟანგ-იულ-ი, კავ-იულ-ი, ბეწვ-იულ-ი, ტბილ-იულ-ი, ცილ-იულ-ი, მადნ-იულ-ი, სახლ-იულ-ი, ვერცხლ-იულ-ი, სპილენძ-იულ-ი... როცხვით სახელებზე დართული -იულ-სუფიქსიანი ფორმებიც კრებითობის გამომხატველია: ათ-იულ-ი, ას-იულ-ი... გავრსებითებულია: რვ-იულ-ი. ახალ ქართულ ენაში -იულ სუფიქსი კრებითობის გამომხატველი ძირითადი სუფიქსია. საინტერესოა, რომ ამ მოვლენის სათავე ძველ ქართულშივე ჩანს: ზვან-იულ-ი, სახლ-იულ-ი, ძნ-იულ-ი, სამარხ-იულ-ი...

-იულ სუფიქსის უმთავრესი ფუნქცია ძველ ქართულში მქონებლობის შინაარსის სახელთა წარმოება იყო: ეკტ-იული, გრძნ-იულ-ი, სნ-იულ-ი, გოლ-იულ-ი (თაფლი ფიქსია), მეყხ-იულ-ი (მეყო — საჩქაროდ, უმალ), ნეტრ-იულ-ი (ნეტარი, სანატრელი), პატოჟ-იულ-ი

51 რ. გაბენავა, ქართულ სიტყვაწარმოება... გვ. 54.

52 ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, 1961 წ., გვ. 124.

(სახელდადებული), **ხორშაკ-ეულ-ი**, **ურვ-ეულ-ი**... თ. ჟორდანიას შეუნიშნავს, რომ **-ეულ** ფორმებში **სნეული**, **ეშმაკეული** — მქონებლობის გამომხატველია. ამიტომ მიაჩნია, რომ მოსალოდნელი **-იან** სუფიქსის (სენიანი, ეშმაკიანი) ნაცვლად გამოვლენილი **-ეულ** კეთილშოვნება-სათვისაა<sup>53</sup>.

**-ეულ** სუფიქსი იშვიათ შემთხვევაში წარმოშობის მიჩვენებელი იყო: **დილ-ეულ-ი**, **სახლ-ეულ-ი**.

ქონების გაგება ანვთ ახალ ქართულში კონკრეტული მნიშვნელობის მქონე სახელებს: **დირს-ეულ-ი** (დირსების მქონე, VII), **ფას-ეულ-ი** (წიგნ. რასაც ფასი აქვს, VII), **ვრც-ეულ-ი** (წიგნ. რასაც სივრცე და მოცულობა აქვს, IV). **იმედ-ეულ-ი**, **ნიშნ-ეულ-ი** (ნიშანდობლივი, მისახვედრი, V), **ცალკ-ეულ-ი**, **მზამზარ-ეულ-ი**...

**მოზარდ-ეულ-ი** ახლად შექმნილი ტერმინია. ნახმარია მსხვილდება პირუტყვის ახალგაზრდა ასაკის საქონლის აღსანიშნავად. აქ **-ეულ** კრებითობის შინაარსისაა.

ძველ ქართულში **-ეულ** სუფიქსი დაერთოდა რიცხვის სახელებსაც. აწარმოებდა: ა) წილობით რიცხვით სახელებს: **ხუთ-ეულ-ი** (=1/5), **ათ-ეულ-ი** (=1/10)...; ბ) ჯერადობის აღმნიშვნელ სახელებს: **ოცდაათ-ეულ-ი**, **ას-ეულ-ი** = **ოცდაათჯერ**, **ასჯერ** შეტს<sup>54</sup>.

ძველი ქართული ენის მსალის ანალიზი გვაგარაუდებინებს, რომ **-ეულ** სუფიქსის თავდაპირველი ფუნქცია ქონების სახელთა წარმოება იყო, შემდეგ კი მას კრებითობისა და წარმოშობის ფუნქციებაც შეუძენია.

**-დელ**: დროის აღმნიშვნელ სიტყვებს დაერთვის და აღნიშნავს როდინდელობასა და წარმოშობას: **გუშინ-დელ-ი**, **წელან-დელ-ი**, **უწინ-დელ-ი**...

**(ა)-მდელ** სუფიქსის ფუნქცია წინადროინდელი ვითარების აღნიშვნაა: **ისტორია-მდელ-ი**, **წვევა-მდელ-ი**, **ომა-მდელ-ი**... ეს სუფიქსი ახლად წარმოქმნილია და იგი თარგმნითი პრაქტიკას შედეგადაა მიღებული: **Дореволюционные**: 1. რევოლუციის წინადროინდელი, 2. რევოლუციამდელი<sup>55</sup>.

**-იონ** სუფიქსი 1) **-იან**-ის ფონეტიკურ ვარიანტად არის მიჩნეული სპეციალურ ლიტერატურაში. მისი უძველესი ფუნქცია იყო ეჩვენებინა ადამიანთა წარმოშობა: ამ მნიშვნელობითაა იგი

<sup>53</sup> თ. ჟორდანიას, ქართული გრამატიკა, ტფ., 1889, გვ. 90.

<sup>54</sup> ივ. იმნაიშვილი, სახელო ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 479.

<sup>55</sup> დ. შაკვაჯარიანი, ერთი ახალი სიტყვაწარმოებითი აფიქსი ქართულში: ჟეთ. პედინსტატუტის შრომები, ტ. XI, 1951, გვ. 135.

დაცული ხევისურულში: არხოტ-იონ-ი = არხოტ-ელ-ი, ამდ-იონ-ი = ამდ-ელ-ი, შატილ-იონ-ი = შატილ-ელ-ი... შდრ. ძვ. ქართულის მ-სოფლ-იონ-ი (სოფლელი, — ძველ).

2. -იონ კრებითობის მაჩვენებელიცაა. სალიტერატურო ქართულში იგი ამ უკანასკნელი ფუნქციით იხმარება: დავ-იონ-ი, დროშ-იონ-ი, ელჩ-იონ-ი, მხედრ-იონ-ი, არიფ-იონ-ი (სიმბოლისტური ჯგუფის სახელწოდება, I).

3. -იონ-სუფიქსიანი რამდენიმე სახელი პროფესიის აღმნიშვნელია: ჯვარ-ი-ონ-ი = ჯვრის მსახური, ხატ-იონ-ი = ხატის მსახური, ციხ-იონ-ი = ციხის მსახური.

ამგვარად, წარმომავლობის სახელთა გაანალიზება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ აღამიანთა და არააღამიანთა წარმომავლობასადაურთობის აღნიშვნის ხაზით ახალ სალიტერატურო ქართულს მნიშვნელოვანი ცვლილება არ განუცდია: -ელ აღამიანთა, ხოლო -ურ (-იურ) აფიქსები არააღამიანთა წარმომავლობაზე მიუთითებს.

-ელ სუფიქსი აღნიშნავს ვინმესაგან წარმომავლობას, ხოლო ზმნისართება და დროის აღმნიშვნელ სხვა სიტყვებზე დართვით -დელ როდინდებობას უჩვენებს.

განსაკუთრებით საინტერესოა დასახელებულ აფიქსთა მიერ გამოვლენილი დამატებითი ფუნქციები რომლებიც გავრცელების სიხშირით აღემატება მის ძირითად როლს. ასე, მაგ.: 1. -ელ სუფიქსს აქვს უნარი აღნიშნოს: ა) რისამე მიმდევრობა, და ბ) პროფესია.

2. -ურ ა) თვისებისა და ბ) კუთვნილების სახელთა მაწარმოებელია;

3. -იურ თვისება-მსგავსებაზე მიუთითებს;

4. -ელ ა) კრებითობისა (საგნის სახეობის, ჯიშის, სამრავლე-კრებითობის) და ბ) ქონების სახელთა მაწარმოებელია.

5. -იონ კრებითობისა და პროფესიის მაჩვენებელია.

ყველა დასახელებული ფუნქციის გამოვლენის უნარი ძველ ქართულშივე ჰქონდა ამ აფიქსებს, ხოლო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ენაში არსებული რესურსები ახალმა ქართულმა ფართოდ გამოიყენა და ახალი სასიცოცხლო ძალით აღჭურვა.

#### IV. აბსტრაქტული სახელები

#### -ება, -ობა, სი — ე (სი — რ)

-ება და -ობა სუფიქსები აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებლებია, მაგრამ ერთმანეთის ნაცვლად ისინი არ იხმარება.

1. -ობა სუფიქსი აბსტრაქტულ სახელებს აწარმოებს: ა) მოქმედებითი და ვნებითი გვარის მძლეობებისაგან: დამაჭერებლ-ობა, შეფერილ-ობა... ბ) არსებითი სახელისაგან: ჭაბუყ-ობა, ოფიცრ-ობა... გ) ზედსართავი სახელისაგან: ვერაგ-ობა, პატარა-ობა... დ) რიცხვითი სახელისაგან: ერთ-ობა... ე) ნაცვალსახელისაგან: მე-ობა, რა-ობა, ვინა-ობა... ვ) ზმნისართისაგან: მალე-ობა, შინა-ობა... ზ) ნაწილაკისაგან: არა-ობა, მო-ობა... თ) წარმოქმნილი სახელისაგან: უ-პირ-ობა, მე-პატრონ-ობა, მო-ხალის-ობა, გულ-ადობა... ი) უცხო წარმომავლობის სახელთაგან: პოპულარ-ობა, აქტივ-ობა...<sup>56</sup>

-ობა-სუფიქსიანი წარმოება ფართოდ გავრცელდა ქართულში. იგი დაერთვის ნებისმიერ ხმოვანსა და თანხმოვანზე დასრულებულ ფუძეს ერთ-, ორ-, სამ- და მრავალმარცვლიანს, ქართული და უცხო წარმომავლობის სახელებს, ნაწარმოებ სახელებს, საფიქრებელია, რომ -ობა სუფიქსის გააქტიურებას ხელი შეუწყო იოანე პეტრიწმაც. ფუძის რაგვარობის მიუხედავად, პეტრიწი -ობა აფიქსით აწარმოებს „ყოველგვარ სახელს, როცა ამას აბსტრაქტული სახელის ადეკვატური ტერმინის წარმოების საჭიროება მოითხოვს“<sup>57</sup>.

2. -ობა სუფიქსი კონკრეტულ სახელთა მაწარმოებელიცაა: აწარმოებს კრებით სახელებს: ჭაბუყ-ობა, ქართველ-ობა, სახელ-ობა, ოფიცრ-ობა, სტუდენტ-ობა... ეს სახელები პოლისემიურნი არიან — კონტექსტის შესაბამისად კრებითობასაც აღნიშნავენ და აბსტრაქტულ სახელთა როლშიც გვევლინებიან.

ა) იმდროინდელი სტუდენტობა სრულებით არა ჰგავდა დღევანდელს (აკაკი).

ბ) მე მეფეა ერთი მეგობარი..., ეგრე კადეც სტუდენტობის დროს ერთ თასში ვცხოვრობდით და ერთად ვიტანდით ჭირსა და ღვინს (ა. ბელ).

-ება სუფიქსი აბსტრაქტულ სახელებს აწარმოებს უმთავრესად ისეთი ფუძეებისაგან, რომლებიც საგნის თვისებას ან ნიშანს გამოსატყვევს: ა) წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღეობათაგან: ბრალდებულ-ება, განზრახულ-ება, მიდრეკილ-ება... ბ) ზედსართავთაგან: დიდ-ება, უხვ-ება... იშვიათად კი გ) არსებითი სახელისაგან: ღვთა-ება, სურნელ-ება... დ) რიცხვითი სახელისაგან: სამ-ება... ე) ნაცვალსახელისაგან: თვის-ება... ვ) ზმნისართისაგან: ვითარ-ება... გასუბსტიანტივებლ-

56 აბსტრაქტულ სახელთა წარმოების, გენეზისისა და ფუნქციების შესახებ იხ.: აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები; არნ. ნიჭოზაძე, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში; არ. მარტიროსოვი, აბსტრაქტულ სახელთა წარმოება და სწარმოებელ აფიქსთა შედგენილობა ძველ ქართულში; ივე, IX—X, 1958, გვ. 121—128.

57 დ. მელიქიშვილი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, 1976, გვ. 63.

ლია: ღვთაება, ქანდაკება ანგარება, სახება, ჯგუფება, უფლება, სურ-  
ნელება, ძიება.

ო ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებს მხოლოდ -ება სუფიქსი  
დაერთვის: ამაო-ება, შნო-ება, გარემო-ება, სიტკბო-ება... თითო-ორო-  
ლა შემთხვევაში ა, ი, ხმოვანზე დასრულებულებსაც: ღვთა-ება, ძი-ება;  
არ დაერთვის ე და უ ხმოვანფუძიან სახელებს. ფუძის ბოლოკიდურ  
თანხმოვანთაგან ხშირია რ, ლ, ნ; ეს გასაგებია: ლ, რ თანხმოვნებზეა  
დასრულებული ნამყო დროის ენებითი გვარის მიმღობები, ნ თან-  
ხმოვანზე კი — -იან, -ივან-მაწარმოებლიანი სახელები, რომლებიც  
ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნის -ება სუფიქსით ნაწარმოებ სა-  
ხელებში.

სი — ე (→სი — ო). სი — ე კონფიქსი ვითარებით ზედსართავ სა-  
ხელთაგან ან მიმღობის გაქვევებულ ფორმათაგან აწარმოებს აბს-  
ტრაქტულ სახელებს: სი-ადვილ-ე სი-ანკარ-ე, სი-ამ-ე, სი-მწყობრ-ე,  
სი-მძლავრ-ე....

სი — ე და -ობა აფიქსები ხშირად დაერთვის ერთსა და იმავე  
ფუძეს (სულ 116 შემთხვევა), ნაგრამ უფრო მართებულ ფორმად  
სი — ე-მაწარმოებლიანი სახელი ითვლება. პარალელურ ფორმათაგან  
მას იმიტომ ენიჭება უპირატესობა, რომ -ობა-მაწარმოებლიანი ემთხ-  
ვევა ამავე ფუძისაგან ნაწარმოებ საწყის ფორმას:

წდრ.: სი-ყოჩაღ-ე — ყოჩაღ-ობა (ყოჩაღობს),

სი-ძუნწ-ე — ძუნწ-ობა (ძუნწობს)

სი-წუწკ-ე — წუწკ-ობა (წუწკობს)

ჩანს, რომ სი — ე კონფიქსიანი სახელში მეტი განკენებულობა იგრძ-  
ნობა.

პარალელურ ფორმათაგან იშვიათად ეძლევა უპირატესობა -ობა  
მაწარმოებლიან სახელს: სი-აკვაც-ე — აკვაც-ობა, სი-ვერაგ-ე — ვე-  
რაგ-ობა, სითვალხარბ-ე — თვალხარბ-ობა.

საგულისხმო ფაქტია, რომ თუ -ობა სუფიქსით კრებითობის ში-  
ნაარსის სახელია ნაწარმოები, ენა ცდილობს იმავე ფუძისაგან სი — ე  
კონფიქსით აწარმოოს აბსტრაქტული სახელი. წდრ.:

სი-ყმაწვილ-ე — ყმაწვილ-ობა,

სი-ჭაბუკ-ე — ჭაბუკ-ობა,

სი-ჯეილ-ე — ჯეილ-ობა,

სი-ღარიბ-ე — ღარიბ-ობა...

სი — ე კონფიქსით ნაწარმოები ფორმა იშვიათად -ება სუფიქსი-  
სიანის პარალელურადაც გვხვდება: სი-ბოროტ-ე — ბოროტ-ება, სი-  
ერთგულ-ე — ერთგულ-ება, სი-მყუდროვ-ე — მყუდრო-ება, სი-  
მძლვარ-ე — მძლვარ-ება, სი-მწუხარ-ე — მწუხარ-ება, სი-მზია-

რულ-ე — მხიარულ-ება, სი-მშვენიერ-ე — მშვენიერ-ება, სი-ძლიერ-ე — ძლიერ-ება.

პარალელურ ფორმათაგან უპირატესობა ენიჭება -ება მაწარმოებლიან სახელს **სი** — ე მაწარმოებლიანი კი უმთავრესად პოეტური მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი. მაგ.:

დამწველი თავის სიმშვენიერით...; სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა; როგორც რომ წმინდა სიწყვედია დე ში (გ. ტაბ.).

**სი** — ე კონფიქსი დაერთვის **ა, ე, ო, უ** ხმოვნებზე დაბოლოებულ სახელებს. ფუძესა და აფიქსს შორის უმთავრესად ხმოვანთგამყარო ჩნდება: **სი-კონტა-ვ-ე, სი-მკლე-ვ-ე... სი** — ე დაერთვის მხოლოდ ქართული წარმოშობის ერთ- ან ორმარცვლიან სახელებს. უცხო წარმომავლობის სახელებს საერთოდ ვერ აწარმოებს. იშვიათია ნაწარმოებ სახელზე მისი დაერთვის შემთხვევები.

**სი** — **ო** კონფიქსი დაერთვის მხოლოდ რამდენიმე უმარცვლო ფუძეს: **სი-ღრძ-ო, სი-მხხ-ო (სი-ხხ-ო), სი-თბ-ო, სი-მცრ-ო, სი-ლბ-ო.**

აბსტრაქტულ სახელთა გაანალიზებამ გვიჩვენა, რომ მაწარმოებელ აფიქსთაგან ყველაზე ცოცხალი და მოქმედია -ობა სუფიქსი. იგი დაერთვის ყოველგვარ სახელს: ქართულსაც და უცხო წარმომავლობისასაც, მარტივსაც და ნაწარმოებსაც, ნებისმიერ ხმოვანსა და თანხმოვანზე დაბოლოებულს. -ება უმთავრესად თვისების აღმნიშვნელ სახელთაგან (ნამყო დროის ენებათა გვარის მიწოდებებისა და ზედსართავი სახელისაგან) აწარმოებს განყენებული შინაარსის სახელებს, **სი** — ე კონფიქსი კი დაერთვის ქართული წარმოშობის ერთ- ან ორმარცვლიან ვითარებით ზედსართავებს. ხშირია -ობა და -ება, -ობა და **სი** — ე, -ება და **სი** — ე აფიქსთა პარალელურად დაერთვის შემთხვევები. -ობა და -ება ძველ ქართულშიც ხშირად მონაცვლეობდნენ.

-ობა და **სი** — ე აფიქსთა მონაცვლეობის საფუძველი ომოფორმულობისათვის თავის არიდებაა: თუ -ობა სუფიქსით კრებათობის შინაარსის სახელია ნაწარმოები, მაშინ **სი** — ე კონფიქსით აბსტრაქტული სახელი იწარმოება.

#### V. დანიშნულების სახელები

**სა** — **ო**, **სა** — **ე**, **სა** — **ურ**, **სა**.

დანიშნულების, განკუთვნიების სახელები იწარმოება **სა** — **ო**, **სა** — **ე**, **სა** — **ურ** და **სა**- აფიქსებით<sup>58</sup>.

<sup>58</sup> გ. ახვლედიანი, „სა — ო“ და „-ურ“-ის მნიშვნელობა: ჟურნ. „ჩვენი მეცნიერება“, № 2—3, გვ. 59; ავ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძველები.